



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080106431966919

№ 1506

18 / მარტი / 2019 წ.

**შპს „იზი სერვისის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „შემოსავლების სამსახური“;

**ტენდერების ნომრები:** NAT180020737 და NAT180020738;

**შესყიდვის ობიექტი:** 50300000 – პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;

**პრეტენდენტი:** შპს „იზი სერვისი“ (ს/ნ: 402065144);

**წერილობითი შეტყობინებების საფუძველი:** ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 22 იანვარს წარმოდგენილ იქნა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2019 წლის 21 იანვრის №21-02/6249 და №21-02/6247 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 638 და № 639), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა NAT180020737 და NAT180020738 ელექტრონული ტენდერებიდან პრეტენდენტის – შპს „იზი სერვისის“ (ს/ნ: 402065144) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „იზი სერვისის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [m.mchedlo@gmail.com](mailto:m.mchedlo@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 24 იანვრის №284 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მის მიერ პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV50300000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ NAT180020737 და NAT180020738 ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „იზი სერვისმა“ (ს/ნ: 402065144) ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ შპს „იზი სერვისისა“ და ზემოაღნიშნულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე სხვა პრეტენდენტის – შპს „იზი პრინტის“ (ს/ნ: 401994400) დირექტორსა და 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პიროვნება – მიხეილ მჭედლიშვილი (პირადი № 01005023555). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019

წლის 18 და 21 იანვრის №4 სხდომის ოქმებით, შპს „იზი სერვისს“ მიეცა დისკვალიფიკაცია NAT180020738 და NAT180020737 ელექტრონულ ტენდერებში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

### 3. პრეტენდენტის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 24 დეკემბერს სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ გამოაცხადა NAT180020737 და NAT180020738 ელექტრონული ტენდერები პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV50300000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT180020738 და NAT180020737 ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო შპს „იზი სერვისმა“ (ს/ნ: 402065144).

4.3. სატენდერო კომისიამ 2019 წლის 18 და 21 იანვრის №4 სხდომის ოქმებით დაადგინა, რომ შპს „იზი სერვისისა“ და NAT180020737 და NAT180020738 ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე სხვა პრეტენდენტის – შპს „იზი პრინტის“ (ს/ნ: 401994400) დირექტორსა და 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პიროვნება – მიხეილ მჭედლიშვილი (პირადი №01005023555).

4.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 18 და 21 იანვრის №4 სხდომის ოქმებით, შპს „იზი სერვისს“ მიეცა დისკვალიფიკაცია NAT180020738 და NAT180020737 ელექტრონულ ტენდერებში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.5. 2019 წლის 25 იანვარს შპს „იზი სერვისმა“ სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 იანვრის №4 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დავების განხილვის საბჭოში (DIS180020737\_01(NAT)).

4.6. დავების განხილვის საბჭომ 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა პრეტენდენტის საჩივარი. საბჭომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემების მიხედვით, შპს „იზი სერვისი“ (ს/ნ: 402065144) და შპს „იზი პრინტი“ (ს/ნ: 401994400) მონაწილეობას იღებდნენ ერთი და იმავე კატეგორიის შესყიდვის ობიექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში. ამდენად, ისინი წარმოადგენდნენ ერთმანეთის კონკურენტებს. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით საბჭომ აღნიშნა, რომ ხსენებული პრეტენდენტების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ერთი და იგივე პიროვნება – მიხეილ მჭედლიშვილი (პირადი №01005023555). გარდა ამისა, საბჭომ ასევე აღნიშნა, რომ, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდებოდა, შპს „იზი სერვისმა“ და შპს „იზი პრინტი“ სატენდერო წინადადებები წარადგინეს ერთი და იგივე IP მისამართიდან. ამდენად, დარეული იყო აფიდავიტის პირობები.

### სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „იზი სერვისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „8“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანების დანართის № 1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ამასთან, ამავე პირობების მიხედვით, „კონკურენტი“ არის ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში/ კონკურსში.

7.5. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ NAT180020737 და NAT180020738 ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტები – შპს „იზი სერვისი“ (ს/ნ: 402065144) და შპს „იზი პრინტი“ (ს/ნ: 401994400) წარმოადგენდნენ ერთმანეთის კონკურენტ კომპანიებს, ხოლო მათ დირექტორსა და 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პირი – მიხეილ მჭედლიშვილი (პირადი № 01005023555). ამდენად, შპს „იზი სერვისმა“ ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, დაარღვია აფიდავიტის პირობები, რის გამოც არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან დგინდება, რომ შპს „იზი სერვისმა“ NAT180020737 და NAT180020738 ელექტრონულ ტენდერებში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „იზი სერვისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

- 1. შპს „იზი სერვისი“ (ს/ნ: 402065144) 2019 წლის 19 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე